
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

რუსთაველის გამზ. №44
სარეკლამო აბრის ცვლილებისათვის



თბილისი
2020, აგვისტო

განსახილველი ობიექტი ისტორიული თბილისის ცენტრალური ნაწილში, რუსთაველის (გოლოვინსკის) პროსპექტის არქიტექტურული ანსამბლის განაპირა მხარეს მდებარეობს.



XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც რუსთაველის პროსპექტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ქალაქის საადმინისტრაციო, ფინანსური და კულტურული ცენტრი. ამ დროისთვის, XIXს. I ნახევარში აქ არსებულ ქარვასლებს, (ერევანსკის მოედანზე, ყოფ. სასახლის ქუჩაზე), ენაცვლება მრავალი ახალი მდიდრული მაღაზია, ხოლო XXს. დასაწყისისათვის შენდება ბანკები, თეატრები, კინო-თეატრები და სასტუმროები.

პროსპექტის ძველი, ტიპიურად თბილისური, ორსართულიანი განაშენიანება 50-60 წლების შემდგომ, იცვლება უფრო დიდი, 3-4 სართულიანი "ევროპული" შემოსავლიანი სახლებით, რომლებსაც აშენებენ ზუბალაშვილები, სარაჯიშვილები, მელიქ ყაზარიანცი და სხვ.

აქვე, ქალაქის ფეშენებელურ კვარტალში, შენდება უმთავრესი ევროპულად გამართული სასტუმროები "ორიენტი", "ჩრდილოეთის ნომრები", "მაჟესტიკი" და სხვ.



რუსთაველის გამზირი №44 ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მქონე სამსართულიანი შენობაა, რომლის ქვედა სართული კომერციულ ფართებს, ხოლო ზედა ორი სართული საცხოვრებელ ბინებს უკავია.



შ. რუსთაველის გამზირის მხარეს მიმართული ფასადის პირველი სართული ნალესი რუსტით არის შემკული. ზედა სართულების დეკორი ბაროკული ელემენტებით გამოირჩევა. მთლიანობაში სახლის ფასადი თბილისში იმ დროს გაბატონებული ამპირის სტილის ნიმუშია, რომელიც ეკლექტურად ხის შეკიდული მეზონინი-აივნით სრულდება.

ძეგლის პირველი სართულის შეტყუპებული სადარბაზოს მომდევნო ნაწილი კომერციულ ფართებს უკავია და მათი სარეკლამო აბრები ლაითბოქსებით არის წარმოდგენილი და გაბარიტები ერთმანეთს ცდება, რაც დაუშვებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის.



რეკომენდაცია

შ. რუსთაველის გამზირ №44-ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პირველი სართულის ერთ ნაწილზე „თორელის“ კომერციული ფართის განთავსებასთან დაკავშირებით სარეკლამო წარწერისა და ლაითბოქსის მოსაწყობად გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ვიტრინის თავზე სარეკლამო წარწერის განთავსება სასურველია მოცულობითი ასოებით უშუალოდ კედლის სიბრტყეზე;
- ვიტრინის ირგვლივ არსებული ფასადის კედლის ნაწილი უნდა გაიწმინდოს, განახლდეს და შეიღებოს კედლის იდენტური ფერით;
- კედლიდან შვერილი ლაითბოქსი უნდა მიესადაგოს ისტორიულ ცენტრში მსგავსი კონსტრუქციისთვის შემუშავებულ ნორმებს.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი